საქართველოს მთავრობის

დადგენილება №64

2020 წლის 30 იანვარი

ქ. თბილისი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 13805.00 კვ. მ გეგმარებითი არეალის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141-ე მუხლისა და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 13805.00 კვ. მ გეგმარებითი არეალის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №28.24.26.253; №28.24.26.254) განაშენიანების რეგულირების გეგმა.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**